ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო

30 ნოემბერი 2023

MOH 5 23 00000352

ქ.თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„საოჯახო მედიცინის სისტემაზე დაფუძნებული პირველადი ჯანდაცვის მომსახურების პაკეტისა და საოჯახო მედიცინის პრაქტიკის სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების

მე-მე - 3 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის, 6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ო“ ქვეპუნქტებისა და 8^1 -ის ,,ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით განსაზღვრული, პირველადი ჯანმრთელობის დაცვის ფარგლებში განსახორციელებელი სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფისა და ასევე, საქართველოს 2022-2030 წლების ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგიის მიხედვით პირველადი ჯანმრთელობის დაცვის ამოცანების შესრულების ხელშეწყობის მიზნებისთვის,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს - „საოჯახო მედიცინის სისტემაზე დაფუძნებული პირველადი ჯანდაცვის მომსახურების პაკეტი და საოჯახო მედიცინის პრაქტიკის სტანდარტები“ თანდართული დანართის შესაბამისად.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი
ზურაბ აზარაშვილი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად